ხელშეკრულება №128
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 20 ივნისი 2022 წელი

ერთი მხრივ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის დავით ჩერქეზიშვილის სახით (რეკვიზიტები: მისამართი: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი#3, საიდენტიფიკაციო კოდი:219636259, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში) და, მეორე მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი) (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით (რეკვიზიტები მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის ქუჩა N11, საიდენტიფიკაციო კოდი: 204877035, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 708967255).

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

CPV კოდი 71900000-ლაბორატორიული მომსახურეობა.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტია სსიპ ქ.ტყიბულის N2 საჯარო სკოლის ეკო-კლუბი ,,ერა" ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსის ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია" ფარგლებში ტყიბულის ტერიტორიაზე არსებული წყაროების შესწავლა,ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზების ჩატარება.(შემდგომში "მომსახურება"). CPV კოდი 71900000-ლაბორატორიული მომსახურეობა.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 750,00 (შვიდასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველის და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით. შესრულებული სამუშაო გადაეცემა შემსყიდველს ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტით, რომლის გაფორმებისა და მასზე მიმწოდებლის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ალექსანდრე

თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორს რევაზ კვატაშიძეს.
4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი დავით ჩერქეზიშვილი.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ტყიბული.
5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1 ,,მიწოდებულისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა
6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების კონტროლს განახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნიკოლოზ კობახიძე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის ან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
„მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
8.2 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულებების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების 0.02%–ის ოდენობით.
8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანვე და მოქმედებს 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ტყიბულის მერი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
_____დ. ჩერქეზიშვილი	Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University Date: 2022.06.20 16:51:11 +04'00' _____ლ. საღინაძე
	ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი
	_____რ. კვატაშიძე